განკარგულება:**გ-63. 632306515**
თარიღი:**06/03/2023**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი, ქალაქ სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. №19-ში მდებარე №2 სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მოწონების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები''-ს მე-2 მუხლის შესაბამისად, განიხილა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი, ქალაქ სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. №19-ში მდებარე №2 სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის მოწონების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი, ქალაქ სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. №19-ში მდებარე №2 სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი, ქალაქ სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. №19-ში მდებარე №2 სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შესახებ

	პროექტის ღირებულება (ლარი)	**პროექტის შესასრულებელი ვადები**	**შენიშვნა (რეგიონული**

№	პროექტის დასახელება	სულ	მ.შ. თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	განვითარების ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
	1	2	3	5	6	7
1	ქალაქ სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. №19-ში მდებარე №2 სამუსიკო სკოლის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები	185 900	9295	მარტი	მაისი	176605

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი